


საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საძმეში, ბედობიც ბეჭდ-
უჭი სიფყავა, ტყუილებით და ჭიბებით ბუბ-
თის გატანა ყველა უჯარბისბაზე უსაბაგლესია.




შაბათი, 6 აგვისტო. 2016 წ. №145 (8037), გამოცემის 98-ე წელი


ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ფასი 50 თეთრი.

როცა საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე სასამარ-
თლოს წევრთაგან უჩუბრად და ბორობბანგრახულად სარჩე-
ლებს ცვლის და თავის მართლებას საბობაჰით ცდილობს, ასეთი
მოსამართლე, ამ შემთხვევაში **გიორგი პაპუაშვილი**,
ჯერ ერთი, ვადაამდე აღრე უნდა განთავისუფლდეს და, მეო-
რეს, მთელი სიმკაცრით სამაბაღითოდ უნდა დაისაჯოს!



ნაკითხაღთა საოცნებო „ნანადირევი“




10

ოლიმპიური ჩემპიონი
ლუკა შავდათუაშვილი

**...მებრამ მე
თამაშებს
მოვიბაჲ**



წუხელ რიო-დე-ჟანეიროს „მარაკანას“ სტადიონზე საზეიმოდ გაიხსნა ზაფხულის XXXI ოლიმპიური თამაშები



მადლობა მათ, ვინც ქართველ ოლიმპიელებთან ერთად იმღერებს ჩვენს ჰიმნს

საძარტველოს პრეზიდენტმა პირველ ლედისთან ერთად რიო-დე-ჟანეიროში ოლიმპიური სოფელი და-ათვალიერა.

გიორგი მარგველაშვილი და მაკა ჩიჩუა ოლიმ-პიურ თამაშებში მონაწილე ქართველ სპორტსმე-ნებს შეხვდნენ და მომავალ ასპარეზობაზე წარმა-ტებები უსურვეს.

თავის მხრივ, ქვეყნის პირველ პირს სპორტს-მენებმა მხარდაჭერისთვის და ოლიმპიურ თამა-შებზე დასწრებისთვის მადლობა გადაუხადეს და

აღნიშნეს, რომ მაქსიმუმს გააკეთებენ, რათა ქარტ-ველი გულშემატკივრების იმედები გაამართლონ.

„თქვენ ხედავთ, რომ რიოში უკვე აღიმართა საქარ-თველოს დროშა, რაც ყველა ქართველს გულს გვიხა-რებს. ორმოცი სპორტსმენი ჩამოვიდა დღეს აქ და გან-წყობა მათში არის ძალიან შემართებითი. დარწმუნებუ-ლი ვარ, რომ არაერთხელ აინევა აქ, რიოში საქართვე-ლოს დროშა.“

მადლობა მინდა ვუთხრა ყველას, ქართველებს, ვინც მუშაობენ რიოში, ესენი არიან სპორტსმენები, ექიმები, საორგანიზაციო ჯგუფი, ეს ხართ თქვენ, ყურნალის-

ტები. მადლობა მინდა ვუთხრა საქართველოს მო-ქალაქეებს, ვინც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან შეხვდავს ჩვენს ოლიმპიელებს და მათთან ერთად იმ-ღერებს საქართველოს ჰიმნს.“ – განაცხადა საქარ-თველოს პრეზიდენტმა.

საქართველოს პრეზიდენტი და პირველი ლედი რიო-დე-ჟანეიროში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის ტომას ბახის სახელით გამართულ მიღებას დაესწრნენ, რომელიც 31-ე ზაფხულის ოლიმპიადის გახსნაზე დამსწრე სახელ-მწიფო ლიდერების პატივსაცემად გაიმართა.



ლევან იზორია: „თქვენთან ერთად ვდებ ფიცს, რომ ვემსახურები ჩემს ქვეყანას, ჩემს ხალხს!“

დღეიდან საქართველოს შეიარაღებულ ძალებს 270 სამხედრო მოსამსახურე შეემატა. სანაწიის საბრძოლო მომზადების კურსდამთავრებულთა ფიცის დადების ცერემონია ეროვნულ სასწავლო ცენტრ „კრწანისის“ ბაზა „ალგეთზე“ გაიმართა. რეკრუტებს შეიარაღებულ ძალებში განუვრდიანება თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ მიულოცა.

„თქვენთან ერთად ვდებ ფიცს, რომ ვემსახურები ჩემს ქვეყანას და ხალხს. სიმბოლურია, რომ დღეს ფიცის მიღების ცერემონიის ფარგლებში, როგორც მინისტრი, სწორედ თქვენ გვხვდებით. ეს ძალიან დიდი პატივია და ქვეყნისთვის ჩემთვისაც ფიცის დადების ცერემონიაა. ასევე, მინდა, უდიდესი პატივისცემა გამოვხატო თქვენი მშობლების და ოჯახების მიმართ – ღირსეული მშობლების შვილები და ჩვენი ქვეყნის ღირსეული მოქალაქეები ხართ, რისთვისაც დიდ მადლობას გიხდით,“ – მიმართა ლევან იზორიამ რეკრუტებს და ქვეყნის სამსახურის სათანადოდ შესრულებაში მათსი მხარდაჭერას დაჰპირდა.

„მე, როგორც თავდაცვის მინისტრი, ყველანაირ პირობას შეგატყენით, რომ

ღირსეულად ემსახუროთ თქვენს ქვეყანას. სახელმწიფო ყველაფერს აკეთებს ამისთვის. ამ კეთილშობილურ საქმეში საერთაშორისო პარტნიორებიც დაგვეხმარებიან. მუდამ თქვენს გვერდით ვიქნებით“, – განაცხადა თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ.

სანაწიის საბრძოლო მომზადების კურსდამთავრებულთა ფიცის დადების ცერემონია ბაზა „ალგეთზე“ საქართველოს სახელმწიფო ჰიმნით გაიხსნა. პირადად შემადგენლობამ და სტუმრებმა ნუთიერი დუმილით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლებსა და საერთაშორისო მისიებში დაღუპული სამხედროების სსოვნას პატივი მიაგეს. პირადად შემადგენლობა შეიარაღებული ძალების კაპელანმა, დეკანოზმა ალექსანდრემ დალოცა. ღონისძიების ფარგლებში, თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ საუკეთესო და ფიზიკურად ყველაზე გამძლე კურსდამთავრებულებს სერტიფიკატები გადასცა. საპატიო სიგელები მიიღეს ცეცხლსასროლი იარაღით სროლაში საუკეთესო მსროლელებმა და კურსის საუკეთესო სერჟანტებმა.

„ქართულ ოცნებას“ ღროზე რომ ემოქმედა, ჩიფიკინდუმი აღარ დაგპყრდებოდა

„დამოკრპატიული მოძრაობის“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე იმ რეფერენდუმის მოთხოვნას ეხმაურება, რომელიც ითვალისწინებს ჩანანერის გაკეთებას კონსტიტუციაში, რომ ქორწინება არის ქალის და მამაკაცის კავშირი. „საქმე იმაში გახლავთ, რომ „ქართული ოცნების“ ადეკვატური მოქმედების შემთხვევაში საერთოდ არ გახდებოდა საჭირო რეფერენდუმის ჩატარება. შეგახსენებთ, რომ ის, ასე ვთქვათ, ხელოვნური დებულებები, რომელიც შეტანილი იქნა ანტი-დისკრიმინაციულ კანონში და რომლის შეტანაც აბსოლუტურად არ იყო რეალურად საჭირო, თუმცა, ეს „ქართულ ოცნებას“ სჭირდებოდა იმისათვის, რომ ქულები ჩაენერა დასავლელ პატრონებთან და ეთქვა, რომ ძალიან პროგრესულები არიან. ამის შემდეგ, ბატონმა ღარიბაშვილმა გააკეთა განცხადება, სადაც მან თქვა, რომ მზად არის უზრუნველყო საკონსტიტუციო ცვლილებები, რომელიც ჩანერდა კონსტიტუციაში იმას, რაც ნებისმიერი ნორმალური ადამიანისთვის ბუნებრივია და გულისხმობს, რომ ქორწინება არის ქალის და მამაკაცის კავშირი.



კიდევ ვიმეორებ, რაზეც წესით საერთოდ სალაპარაკო არ უნდა იყოს, მაგრამ, სამწუხაროდ, არსებული რეალობიდან გამომდინარე საჭიროა. ღარიბაშვილი ხომ საერთოდ მოხსნეს ამისთვის, თუ სხვა რამისთვის, ამას არ აქვს მნიშვნელობა. „ქართულ ოცნებას“ დიდი ხნის წინათ შეეძლო ჩაენერა კონსტიტუციაში, რომ ქორწინება არის ქალის და მამაკაცის კავშირი. ამ შემთხვევაში არანაირი რეფერენდუმი აუცილებლობა საჭირო არ იქნებოდა, მაგრამ ეს არ გააკეთა და რეფერენდუმის თემა შემოინახა პრაქტიკულად წინა საარჩევნოდ, წინა საარჩევნოდ წამოსწია ეს თემა თითქოსდა, ასე ვთქვათ, ნომერ პირველი გულშემოტიკვერები ამ თემისა არიან სწორედ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები, მაშინ როცა ანტიდისკრიმინაციული კანონი იმ ფორმით, რა ფორმითაც მიიღეს, სწორედ მათი შემოქმედება გახლავთ“, – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

მისი თქმით, რაც შეეხება თავად რეფერენდუმს, რაკილა ეს საკითხი წამოიჭრა და სხვაგვარად არ იქნა გადაწყვეტილი კონსტიტუციაში, რა თქმა უნდა, გადაწყვეტილება ამ საკითხთან დაკავშირებით მიღებული უნდა იყოს იმიტომ, რომ მოქალაქეების ხელმოწერის უგულებელყოფის უფლება არ აქვს.

„ქართულმა ოცნებამ“ არაფერი არ გააკეთა იმისათვის, რომ ეს ერთი საკითხი მაინც თავისუფლად გადაეწყვიტათ იმიტომ, რომ იმ პერიოდში საკონსტიტუციო უმრავლესობა „ქართულ ოცნებას“ წამდვილად ჰქონდა და სურვილის შემთხვევაში ძალიან მარტივად შეიძლებოდა ცვლილების შეტანა კონსტიტუციაში და დაფიქსირება იმისა,

სხინვალთან საზღვარი 3 დღით ჩაიკეტება

ოქუპირებული სამხრეთ ოსეთის მარიონეტული რეჟიმის გადანაცვლებით, დღეიდან ადმინისტრაციული საზღვარი სამი დღით ჩაიკეტება. „სპუტნიკ ასეტიას“ ინფორმაციით ეს გადანაცვლება ენ. სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში მიიღეს. ცხინვალში აცხადებენ, რომ აღნიშნული გადანაცვლება 2008 წლის „ქართული აგრესიის“ წლისთავისთვის, დაგეგმილი ღონისძიებების ჩატარებას უკავშირდება. ადმინისტრაციული საზღვარი 9 აგვისტოს, დილის 09:00 საათიდან გაიხსნება.

ჩემი შენ გითხარი!

პაი შენს პატრონს! – არ დაუჯეროთ ლა-დი-და-ს!



კერძოებელი საარჩევნო კანონმდებლობა და არც ერთი არჩევნები მეტ-ნაკლები გაყალბებების გარეშე არ ჩატარებულა. არც 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების ჩატარებაა მოსალოდნელი გაყალბების გარეშე. გაყალბება უკვე დევს საარჩევნო კანონმდებლობაში და მის უმთავრეს ბაზას წარმოადგენს ის 700 ათასი ამომრჩეველი, რომელიც მოსახლეობის აღწერის დროს არ აღირიცხება და საარჩევნო სიებში კი მოცემულია.

მხოლოდ წესიერი არჩევნების ჩატარების შემდეგ დაინყება საქართველოს მდგრადი განვითარება. მხოლოდ ასეთი არჩევნები გამოავლენს სრულად ქართველი ერის ენერჯის, დაუბრუნებს ქართველებს საკუთარი თავისადმი რწმენას და მოაძებნიებს სწორი მოქმედების გზას. ამის მეთაური და წარმართველი შეიძლება იყოს მხოლოდ ლეგიტიმურად არჩეული ხელისუფლება.

ხელისუფლება, რომელიც ხალხის მოტყუებით ან სხვა „მანქანებით“ („პი-არ-ტექნოლოგიებით“) იღებს ძალაუფლებას – სიყვარულით ვერ იმოქმედებს, ეროვნული სახელმწიფოს შექმნას ვერ შეძლებს!

ხალხი, რომელიც ელოდება პოლიტიკურ ბელადს, რომელიც მის ყველა საკითხს გადაწყვეტს – ვერ უზრუნველ-

ყოფს გაუყალბებელ არჩევნებს. სად არის გამოსავალი? არ უნდა გვექონდეს მოლოდინი, რომ გამოჩნდება ახალი დროის ილია ჭავჭავაძე. აქცენტი უნდა გაკეთდეს „კოლექტიური ილიას“ გაჩენაზე, რაც ცოდნითა და მეცნიერების განვითარებით მიიღწევა.

მიიღწევა ეს სხვისი გამოცდილების შესწავლითაც. კარგ მაგალითებს გვაძლევს აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნები. ყურადღებას გავემახვილებ ერთ ასეთ მაგალითზე. პოლიტიკური მიაშიტობაა მოლოდინი (25 წლის გამოცდილებამ აჩვენა), რომ გამოჩნდება ერთი კაცი, რომელიც ყველა პრობლემას გადაწყვეტს, მათ შორის საოჯახო დონეზე.

მაგრამ პიროვნული პრობლემაა, როდესაც გამოჩნდება ერთი კაცი, რომელიც ერს, ქვეყანას ეტყვის, რომ მას ეს შეუძლია.

ასეთი კაცს უორენ ბაფეტმა (Warren Buffet) „la-di-da“ უწოდა.

2016 წლის 1 აგვისტოს ჰილარი კლინტონის მხარდასაჭერ შეკრებაზე ომაჰაში (ნებრასკას შტაში) მსოფლიოს უმდიდრესთა სამეულში მყოფმა ბიზნესმენმა უორენ ბაფეტმა მხარი დაუჭირა ჰილარი კლინტონს და გააკრიტიკა ტრამპი.

განსაკუთრებით გააკრიტიკა ტრამპი მისი იმ პრეტენზიის გამო, რომ მან იცის ქვეყნის სისტემა ყველაზე უკეთესად და მარტოდმარტოს შეუძლია მისი გამოსწორება („he knows the system better than anyone and he, alone can fix it“).

ბაფეტმა ამაზე უპასუხა: „Well, la-di-da“ („la-di-da“-ს ტრანსკრიფციაა {la:di,da:})

ლა-დი-და! ლა-დი-და! ჩვენებურად: „ვაი შენს პატრონსო“, თუ მართლა გგონია, რომ მხოლოდ ერთი კაცი 325 მილიონის გასაკეთებელს გააკეთებ („It takes some kind of nerve or something else to really have the notion that you're the only one out of 325 million people who can fix it“).

ასეთი კაცი პრეზიდენტად არ გამოდგება – დაასვენა ბაფეტმა.

სამი მილიონ შეიდას ოცი ათას ოთხასი კაცის საქმის გაკეთებაც ამ სამი მილიონ შეიდას ოცი ათას ოთხასი კაცის მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია ერთი კაცის მიერ.

(საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ოფიციალურად შეადგენს 4702,4 ათას კაცს <http://www.geostat.ge/-ნახვა 3.08.2016>).

მიმდინარე საარჩევნო პერიოდში ბევრი, დიდი თუ პატარა, ლა-დი-და გამოჩნდება, რომელიც ფულზე დაყრდნობით მოინდომებს ყველა პრობლემის გადაჭრულ პიროვნებად თავის, ან თავისი ჯგუფის წარმოდგენას.

თუ დაჯერება იმიტომ მოგიწევია, რომ ვილადა ფულიანია და თუ „ჭკუის საზომი“ და მთავარი არგუმენტი საქართველოში ფულია, მაშინ ბაფეტზე უმეტესი და მასზე უფრო დასაჯერებელი არავინაა.

მე ბაფეტის მჯერა. მე არ მჯერა ლა-დი-დას.

მე ქართველი ხალხის მჯერა.

მიხაილ ჯიუბტი,
პროფესორი



„ისტორიის ფალსიფიკატორები, თავის დროზე ილიამ რომ ამხილა, როგორც ჩანს არ ცხრებიან. ეტყობა მათ ისევ „დიდი სომხეთის“ ბოლო იდეა-ჩვენება აწახვევს, რომლის შემადგენლობაშიც შედის საქართველოს, ირანის, თურქეთის, აზერბაიჯანის და ჩრდილოეთ კავკასიის მიწები — რაშიც იკვეთება წარმოუდგენელი უპატივცემლობა მევზობელი ქვეყნების სუვერენიტეტისა და მათი ტერიტორიული მთლიანობისა“ — ამის შესახებ წერს სოციალურ ქსელში კონსტანტინე (კოკო) გამსახურდია და ისტორიკოსი ზენინა ბუაჩიძის მიერ გამოვლენილ საგანგაშო ფაქტზე პყვება.

სხვა სომხები ისევ ცუდად ბოდავენ!..



ვენე, რომელთა ვნაც არც ინდო-ვეროპული ყოფილა, არც ინდო-ირანული“ — წერს კონსტანტინე გამსახურდია.

„შავი არქეოლოგია“

ამჰარა - ქველი, რომელიც უსოფან იჩიდავს რუსებს, თუმცა, არაფრის ინტერესებს აწახვევს

მშის შემდგომი 23 წლის განმავლობაში პირველად აფხაზეთში „შავი მთხრელები“ დააკავეს. ამის შესახებ დე ფაქტო კულტურის მინისტრის მოადგილე ბატალ კობახიამ სოხუმში გამართულ შეხვედრაზე განაცხადა, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის აქტიულობის საკითხებს, კერძოდ, ისტორიულ-კულტურული მემკ-

არის გადასწავლელი, ვის უნდა გადაეცეს ეს ყველაფერი და ვინ იქნება პასუხისმგებელი ამ ნივთების სამომავლო დაცვობაზე“. კობახიამ გარკვეულ დამატებით ტენდენციებზეც ისაუბრა და განაცხადა, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში ვითარება შეიცვალა: „ხალხს უკვე ეშინია არქიტექტურის



ვიდრეობის ობიექტების ინვესტირებასა და დაცვის, მათი გამოვლენისა და ძველთა რეესტრში შეტანის, ასევე სხვა თემებს მიეძღვნა.

როგორც კობახიამ აღნიშნა, ძველთა რეესტრი აღდგენის პროცესშია, ობიექტების საადრინესტო პარათები და პასპორტები ახლა იკვება. ამასთან, მწვავედ დგას არქეოლოგიური აღმოჩენების საცავების საკითხი:

„სადღესოდ ყველა ნივთი ქალაქის ცენტრში არსებულ ძველ საწყოებშია თავმოყრილი და პატრონი არ ჰყავს, შესაბამისად — არც შემსწავლელი. ამდენად, სასწრაფოდ

ძველთა ნგრევის: აცნობიერებენ, რომ ამის გამო პროკურატურა მათ მიმართ საქმეებს აღძრავს. გარდა ამისა, ყოველ ასეთ შემთხვევას საზოგადოებრივი რეზონანსი მოსდევს, რისთვისაც მედიას განსაკუთრებული მადლობა მინდა, გადაეუხადო. კულტურის სამინისტროს ახალმა გუნდმა ძველთა იჯარით აღებაზე თანხმობის უკანონოდ გაცემის 20 შემთხვევა გამოავლინა. მათ ნაწილს ვადა უკვე ამოწურა, თუმცა 10 შეთანხმებაზე სერიოზული სამუშაოს ჩატარება მოგვიწევს. კულტურის სამინისტრო მათ გაგრძელებაზე უარს აცხადებს და საკუთარი ინტერესების სასამარ-

თლოში დაცვას გეგმავს“ — აღნიშნა დე ფაქტო მინისტრის მოადგილე. რაც შეეხება ე.წ. „შავ არქეოლოგებს“ — იგივე „შავ მთხრელებს“ კობახიას ინფორმაციით, პირველად ბოლო 23 წლის განმავლობაში დაკავებულია დანაშაულებრივი ჯგუფის სამი წევრი:

„ამჰარაში ერთი მინდორია, რომელზეც ბრინჯაოს ხანიდან შუა საუკუნეებამდე პერიოდის სამარხები ვხვდებით. სწორედ იქ მიაკვლიეს „შავ მთხრელებს“. ახლა ისინი დაკავებული არიან, მიმდინარეობს გამოძიება. არტიფაქტები, რომელთა ამოთხრაც დაძაბულია მოასწრეს, აღწერეთ და მუზეუმს გადაეცემა“ — უამბო შეკრებილ ბატალ კობახიამ.

ამასთან, მან აფხაზ მეწარმეებს, ფონდებსა და კერძო პირებს მიმართა თხოვნით, დაეხმარონ სახსრების მოძიებაში არქეოლოგიური გათხრებისთვის აწმარდაში — ძველზე, რომელიც ესოდენ მძლავრად იზიდავს „შავ არქეოლოგებს“ რუსეთიდან, თუმცა, არავის აინტერესებს თავად აფხაზეთში.

ისტორიულ რელიქვიებზე მონადირეები დიდი ხანია, ჩადიან აფხაზეთში ძვირადღირებული აღჭურვილობით, რომელიც მინის ფენებში ოქროსა და ვერცხლის ნაკეთობების არსებობის ამოცნობის შესაძლებლობას იძლევა. მათ კარგად იციან ადგილები, სადაც ნადავლი ეგულებათ. ერთ-ერთი ასეთი ტერიტორია გაგრის რაიონში მდებარე ამჰარდაა. აქ „შავმა არქეოლოგებმა“ ბოლო 12 წლის განმავლობაში 300 სამარხი გათხრეს. 2013 წელს Sotheby's აუქციონზე IV საუკუნის 30 000 ევროდ შეფასებული ვერცხლის უნიკალური თასი „ამოტივირდა“, რომელსაც ხარის თავის ფორმა გააჩნია. იმის შესახებ, რომ „შავ მთხრელები“ აფხაზეთში სხვადასხვა ადგილებზე არასანქცირებულ გათხრებს აწარმოებენ, ადგილობრივმა მეცნიერებმა და დე ფაქტო სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომლებმა დიდი ხნის წინ დაიწყეს საუბარი, თუმცა, აფხაზი სამართალდამცველები ამის აღსაკვეთად და დამნაშავეთა დასაკავებლად ამ დრომდე მაინცდამაინც არ აქტიურობდნენ.

ნითელაშვილი არ ყოფილა არსებითი საილუმო ბაზაზე — მიხლა ჯანელიძე



თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა, უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს მდივანმა, მიხლა ჯანელიძემ კომენტარი გააკეთა თავდაცვის უწყების სამხედრო ობიექტებიდან რუსული სპეცსამსახურებისთვის ინფორმაციის შესაძლო გაცემის საქმესთან დაკავშირებით.

„კურიერთან“ საუბარში აღიარა, რომ იყო გადაცდომა სარეჟიმო წესების დარღვევისთვის და ტრისტან ნითელაშვილი მასთან შეუთანხმებლად შევიდა სამხედრო ბაზაზე, თუმცა ამბობს, რომ ეს არ არის საიდუმლო ობიექტი.

„ეს არის აბსურდული ბრალდება. ეს გავს უფრო პოლიტიკურ სპეკულაციას, ვიდრე რამე საქმეზე ლაპარაკს. ამ თემაზე სერიოზული კომენტარის გაკეთება ძნელია, თუმცა ვაცხადებ სრული პასუხისმგებლობით, რომ ნითელაშვილი არ ყოფილა არცერთ საიდუმლო ბაზაზე და მეორე ბრალდება, რაც ჩემი მისამართით იყო, არის რომ თითქოს ვინმე დაუსჯელი დარჩა. ეს ასე არ ყოფილა.“

ჩემი მინისტრობის პერიოდში ვინც რაიმე გადაცდომა ჩადინა, ყველამ შესაბამისად აგო პასუხი. დანაშაულზე არ იყო საქმე, იყო გადაცდომაზე საქმე, ამ გადაცდომაზე აგო პასუხი იმ პირმა, ვინც ის ჩადინა. იყო სარეჟიმო წესების დარღვევა და ამ დარღვევაზე აგო პასუხი. პროკურატურას საქმე გადაეცემა მაშინ, როცა სახეზეა სისხლის სამართლის დანაშაული. ამ შემთხვევაში არ ყოფილა. იყო გადაცდომა და ამაზე შესაბამისი რეაგირება მოახდინა გენერალურმა ინსპექციამ, — აცხადებს მიხლა ჯანელიძე.

„ყველა ერთად უნდა ვუშველოთ ძვიანას!“

ჩინური ანდაზა გვასწავლის: — „ერთი ადამიანის სიცოცხლის გადარჩენა სჯობს შვიდსართულიანი ტაძრის აგებას“ (ამიტომაც არიან ისინი ბევრნი...) ჩვენ კი, ქართველები, მგონი 3,7 მილიონიც აღარ დავრჩით?!

ქართველი ხალხი, ვგონებ, არასოდეს ყოფილა ასე გასაცოდავებული, დაჩაჩანაკებული და გამათხოვრებული უმუშევრობისა თუ დაბალი ხელფასების და პენსიების გამო! ლამის ჭკუიდან შეიშალოს ხალხი, იმის გამო, რომ ბავშვები ვერ შეუნახავთ!

ქართველი ხალხი დაკნინდა და ეს თითქოს არავის ადარდებს. წინა მთავრობამ საკუთარ ამბიციებს გადააყოლა ქვეყანა. თუ ქართველი ერი განადგურდა, ვილას დარჩება საქართველო? მთელი შემოსავალი, პირველ რიგში, ხალხისა და ქვეყნის კეთილდღეობას უნდა მოხმარდეს და არა ერთეულების ჯიბეებში ნაწილდებოდეს!

ქლიერი ოჯახი ქლიერი სახელმწიფოა!..

ხალხმა აირჩია, მაგრამ ისინი ხალხს არაფრად აგდებენ. ეს არის დემოკრატია და თავისუფლება?

თავისუფალ ქვეყანას ვეძახით ისეთს, რომელიც თავისუფალი უნდა იყოს, უპირველეს ყოვლისა, ტუილების, სიძულვილის, ძალადობის, ქიშპობისა და მექრთამეობისაგან... ეს უზნეობები სწორედ უსამართლობისა და სიღატაკის დროს ჩნდება, ამას წინა ხელისუფლება აღვივებდა ხალხში. არადა, ეს ხელისუფლება რომ ვერაფერს აკეთებს? ნუთუ ჩვენში პატრიოტები აღარ დარჩნენ? იძულებით უნდა ინამოს ხალხმა ესა თუ ის „იზმი“, იმის მიხედვით — გავმდიდრდებით, ან კარგ თანამდებობას მივიღებთ? გამოუვალი მდგო-

მარეობის გამო, ზოგიერთი ყველაფერზე მიდის, მაგრამ ეს ხომ ყველას არ შეუძლია, ყველა ვერ გახდება უსინდისო, ან — ყველა ვერ იმათხოვრებს და იქურდებს...!

ბევრი თავსაც კი იკლავს, როცა გამოსავალს ვერ პოულობს!?

„საქართველოვ, შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი...“

ხელისუფლებაში ისეთები უნდა მოვიდნენ, ვინც ხალხის ჭირ-ვარამს, ერის ტკივილს გაიზიარებს და არა ისეთები, ვინც „სხვისი ჭირი ღობეს ჩხირის“ პოზიციაზე დგანან.

აი, რას ამბობს გერმანელი მწერალი ჰაინრიხ მაინი: „გაჭირდება ხრწნის სულელებს!“ და ეს უკვე გამოჩნდა!

სტალინი კი აი, რას ამბობს: „ნამდვილი თავისუფლება მხოლოდ იქ არის, სადაც მოსპობილია ექსპლუატაცია, სადაც არ არის უმუშევრობა და სიღატაკე, ადამიანი არ კანკალებს იმის შიშით, რომ ხვალ შეიძლება დაკარგოს სამუშაო, პური, ბინა... მხოლოდ ასეთ საზოგადოებაშია შესაძლებელი ნამდვილი და არა ქალაქის, პირადი და სხვა თავისუფლება!“

ის კაცი თითქოს წინასწარმეტყველიც იყო — იცოდა, რომ მისი სიკვდილის შემდეგ ასეთი დრო დადგებოდა!


და კიდევ: აუცილებელია ყურადღება მიექცეს პენსიების განაწილებას: ამჟამად ადამიანს, რომელიც მთელი ცხოვრება მუშაობდა, დამსახურებაც აქვს და იმასაც, ვისაც სულ არ უმუშავია ერთ-ნაირი პენსიები აქვთ! სად გაგონილა!

სასწრაფოდ უნდა ვუშველოთ ჩვენს ქვეყანას, ყველამ ერთად, სამართლიანობითა და მუშაუნობით!!

სანდრა მთაწინელი

როგორც ჩემი განვლილი ცხოვრების ფურცლებს თვალს ვავლებ, მიხარია, რომ სიკეთის შუქით არის განათებული. ისევე ისე ბრწყინებულ დედაჩემს თვალებში, გზას მინათებენ და იმედით მავსებენ, ყოველ წუთს მომესმის იმისი სმა: გიყვარდეთ ერთმანეთი, გიყვარდეთ მოყვასი თქვენი, გასსოფდეთ, რომ მხოლოდ სიკეთით შეძლებთ ადამიანური სინარულის მოპოვებას.

აპულ გუგია,
წიგნიდან „ღმრთის მონათრება“



ლაქის პროკურატურაში ერთ-ერთ განყოფილებაში დაინიშნა. ამის შემდეგ დაიწყო აბელ გეგიას ოდილე... როგორ გინდა საქართველოს თითქმის ყველა ქალაქის პროკურორი ან მოსამართლე იყო და, როგორც იტყვიან, წამლად ერთი საყვედური მაინც არ იგემო დიდი თუ მცირე გადაცდომისთვის კარგა გვარისანად ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე. ეს არა მარტო იშვიათი, არამედ უთუოდ გამოჩვენის შემთხვევაა.

საყურადღებოა ის ამბავიც, რომ იმერეთიდან ჩამოსულია, ცოდნის დაუოკებელი წყურვილით შეპყრობილმა ახალგაზრდა კაცმა უმაღლო ადგილზე ახალ ცხოვრებას და მთელი მონდომებით ჩაება საუკუნის იმ წლების ორომტრიალში. აბელის ფიზიკურადაც თვალში იხილება უსუსტად შენიშნა, რომ იოლი ცხოვრების მძებნელი, როგორც ახლა, მაშინაც ბევრი იყო და ასე თუ ისე მაინც ახერხებდნენ ქვეყნის უმაღლეს ორგანოში გაძრომას. ქვეყანაში სმირი იყო სისხლის სამართლის დანაშაულის ჩა-

რად მართალი. ის, არ ვიცი, რომელ პროკურორს ან მოსამართლეს გულს სხმობს, საუბედუროდ, ალბათ, ცოტანი არ იქნებიან ისინი, მაგრამ მე ვისზეც ვლაპარაკობ, ასეთებიც რომ არ იყვნენ, მაშინ ცხოვრებას აზრი არც ექნებოდა. მაშინ საყოველთაოდ ზნედაკარგული ადამიანები უთუოდ ქაობში აყიყინებულ ბაყაყთან არც არაფრით არ განსხვავდებოდნენ.

ჩემი აზრის დასადასტურებლად მხოლოდ ერთ მცირე მაგალითს მოვიყვან... ..ერთ-ერთი გორელი კბილის ექიმის ოჯახში მაგადავინა აღაჩნდა 48 კილოგრამი ოქროს ფხვნილი გადამალა. იმ დროს გორს ეკუთვნოდა ქარელიც, კასპიც. კბილის ექიმები, ბუნებრივია, ქარელშიც იყვნენ და კასპიც. პროკურორი აბელ გეგია ალლოდ არც ახლა უმცყუნა. მაინცადამაინც გორელი სტომატოლოგის ეზო-კარს მიადგა, მაგრამ საგულდაგულოდ გადამალულ ოქროს კარგა ხანს ვერსად მივადგინე. სახლი კარგა გვარისანად მოზრდილ ვენახებში იყო ჩადგმული. რამდენიმე დღის ძებნის შემ-

შურნალინსტური პროფესიის გამო ჩემი ცხოვრების არცთუ ხანმოკლე მანძილზე ძალიან ბევრ ღვთისწიერ ადამიანთან მომიხდა შეხვედრა. ბევრი თუ მარტო საქართველოშია ცნობილი, ბევრსაც მთელი მსოფლიო იცნობს. თითოეულ ამ ადამიანზე არა მარტო დაინერება, არამედ უნდა დაინეროს კიდევ ცალკე წიგნი, რათა ჩვენი შემდგომი თაობის ახალგაზრდამ ისევე ამოიჭრას გულის ფიცარზე ძველი ბრძენი ბერძნის სიტყვები, როგორც ეს ჯერ კიდევ სოფელ რომანეთში ამოიჭრა ბიბლიური სახელით მონათლულმა აბელ გეგიამ: **„თავისთავად ხანმოკლე სიცოცხლე საკმაოდ ხანგრძლივია იმისთვის, რომ თვით უფლისგან ზომებულ სიმართლისა და სიკეთის ქმნის ნიჭს ხორცი შეასხაო“.**

აი, ამ სიმართლისა და სიკეთის ნიჭისთვის ხორცის შესხმას მოანდომა მთელი თავისი ხანგრძლივი, თითქმის საუკუნის შეუღლებული სიცოცხლე აბელ გეგიამ, ნამდვილად ღირსეულმა მეოცნესაუკუნელმა, რომელმაც ძველქართულად, ვაჟკაცურად გადაამტვრია ერთ კონად შეკრულად ოთხმოცდაათი წელიწადი და ახლა უკვე მეათე ათეულს შეუტია ჩვეული შემართებით.

ერთ საგაზეთო წერილში, რამხელაც არ უნდა იყოს, ძნელია ისეთი დღედაღამ ნაღვანი კაცის ცხოვრების სრულად (მხედველობაში მყვანან მართლმსაჯულების უანგაროდ ერთგულნი მსახურნი) მოქცევა, როგორც აბელ გეგია... არის ქვეყნები, სადაც ამგვარ ადამიანებზე უკვე რამდენიმე ათეული წელიწადია, სერიულად გამოდის წიგნები — **„შესანიშნავ ადამიანთა ცხოვრება“.** ამდენად, დასანანი, რომ საქართველოში დღემდე არა გვაქვს მსგავსი წიგნი. ეს მაშინ, როცა ნაირ-ნაირი მკულავტურით აივსო ჩვენი ისედაც გაიშვილებული წიგნის მლაზრების თაროები.

ამ უაღრესად მძიმე დანაკლისს ერთგვარად ავსებს თვითონ პროფესიონალი იურისტი ნიგნები, რომელთა მიხედვითაც თავისებურად გახდა იკვლევს მართლმსაჯულების ჯუნგლებში გაუცხოებული ბიერებელი მკითხველი. ქართველ მკითხველს დღესაც კარგად ახსოვს ორადე დგებუაძის, იორამ ჩადუნელის, ალექსანდრე იაშვილის, საზოგადოების იყვნენ კიდევ სხვა ავტორები, რომელთაც უთუოდ კარგი სამსახური გაუნიეს ქართული მართლმსაჯულების პოპულარიზაციას. აბელ გეგიას **„თავს გადადებული ვიქტორ ჰიუგოს სიტყვები: „ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს ვის მხარეზეა ძალი, მნიშვნელოვანი ის არის, ვის მხარეზეა სიმართლე“.**

მოხუცი და სხვა...

ანუ ჩემი 90 წლის მეგობარი, ანუ „სიმატილის კასი“

სამოც წელიწადზე მეტი ხნის მანძილზე კანონის დამცველი აბელ გეგია მუდამ იმის მხარეზე იდგა, ვის მხარეზეც იყო სიმატილე. ამიტომაც შეარქვეს „სიმატილის კასი“, რაც ყველაზე მეტად ეამყება ამ მართლაც იშვიად ადამიანს, რომელსაც არც გამოძიებლობა დაჰკლესია, არც პროკურორობა, არც მოსამართლეობა. საქართველოში, არც დასავლეთში და არც აღმოსავლეთში, ქალაქი არ არის, სადაც პროკურორი თუ მოსამართლე აბელ გეგიას წყალობით სამართალს პური არ ეჭამა...

როგორც ჩანს, მართლმსაჯულების მსახურთ, ოლონდ ქეშმარიტ მსახურთ, ბუნება ისევე აჩენს, როგორც ქეშმარიტ მგოსანთ, მხატვართ, მუსიკოსთ. დღეს უკვე 90 წლის აბელ გეგია სწორედ ასეთ ადამიანთა, ბუნებისგან ნიშანდებულ ადამიანთა არცთუ მაინცადამაინც დიდ რიცხვს მიეკუთვნება. ავი ამბობდნენ კიდევ აბელის მშობლიურ სოფელ რომანეთში, ვანის მხარის ამ ერთ-ერთ ულამაზეს სოფელში, ამ პატარა ბიჭს კოჭებში ეტყობა, ამ უსწორმასწორო ქვეყანაში სიმართლის დასამკვიდრებლად იბრძოდნენ. სწავლას მოწყურებული ყმანილი დღე მშობლებს გვერდით შრომობდა, ღამით კი ქრატის შუქზე წიგნის კითხვაში ჩაქინებოდა ხოლმე. მაგრამ ნავთის უქონლობის გამო ხშირად ქრატსაც ვერ ანთებდნენ და პატარა ბიჭი იძულებული იყო, შუქად მთვარე გამოეყენებინა. და ერთხელაც გაკვირვებულმა ამოიკითხა შექსპირის სიტყვები: **„მსოფლიო სახევა ქურდებით, მაგრამ ყველა ქურდზე დიდი ქურდია მთვარე, რადგან თავის სინათლეს ის მზესა ჰპარავსო“.**

ეს ადგილი აბელს მოჰყავს თავის ერთ-ერთ შესანიშნავ წიგნში, რომელსაც **„თავს გადადებული და ნაფიქრალ-ნაზრევი“** სწორედ ამ თვალსაზრისით არის ფრიალ საგულსხმო. მკითხველი აქ ამოიკითხავს, თუ რა ურთულესი გზებით აეხადა ფარდა არაერთ შემზარავ კაცისკვლას, ქურდობას, სულიცნობას, მოთხრობილია აგრეთვე, თუ როგორ დააყენეს სწორ გზაზე გზასაცდენილი არაერთი ახალგაზრდა, როგორ დაუკარგეს იოლი გამდიდრების მადა ასევე არაერთ მომხმეველს, საზოგადოების ხორცმეტს, პარაზიტს, მუქთახორას.

გამოცდილ პროფესიონალს მუდამ ყურში ჩაესმოდა სიმართლისთვის თავგადადებული ვიქტორ ჰიუგოს სიტყვები: **„ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს ვის მხარეზეა ძალი, მნიშვნელოვანი ის არის, ვის მხარეზეა სიმართლე“.**



აპულ გუგია და გურამ გოგიაშვილი

დენის შემთხვევები პარლამენტის ზოგიერთი წევრის მიერ. სწორედ ამ წლებში მუშაობდა აბელის სამცხეში ხარისხის მოსაპოვებლად სადისკირტაციო თემაზე: **„დეპუტატის განცევა — სახელმწიფო სამართლის უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტი“.** ახალგაზრდა დისკირტატმა პირდაპირ დაასახელა ის უღირსი ადამიანები, ვინც პირადი გამორჩენის მიზნით არცხვენდა დეპუტატის სახელს, რაც თავისებური სენსაცია იყო.

მაღე აბელ გეგიამ ცალკე წიგნად გამოცა **„ქნა მართლისა სიმართლისა“**, რომელშიც აღნიშნულია პარლამენტიდან იმ ვანი-დეპუტატების განცევის აუცილებლობა, ვინც იოტისოდენას არაფერს არ აკეთებს ქვეყნისა და ხალხისთვის და მხოლოდ საკუთარ ჯიბეში და საკუთარ ჯამში ჩაიყურება. ამ კანონის დღის სინათლეზე გამოტანა სწორედ აბელ გეგიას სახელთან არის დაკავშირებული, ეს მართლმსაჯულების პროკურორი დიდად გულდაწყვეტილია, რომ არც წინა მოძალადე ხელისუფლებას და არც ანიდელს ამ მხრივ ერთხელაც არ გააუღდამს პრინციპული ნაბიჯი. ის კი არა, დღესაც სჯერა, რომ დიდი ანგარება ტრიალებს ამ წმინდა საქმეში.

30 წელიწადი უთუოდ იტყვის, სად პროკურორი ან მოსამართლე და სად უანგარობა და პატიოსნება: რასაკვირველია, ის თავისებურად მართალი იქნება, როგორც მე ვარ ჩემებუ-

დეგ აბელმა სწორედ იმ ვაზს დაადგა თვალი, რომლის ძირზეც იყო ჩადღუწული ის ერთი ტომარა ოქროს ფხვნილი... დამნაშავე, რასაკვირველია, დაპატიმრეს, ოქროს ფხვნილი კი სახელმწიფოს ჩაბარდა... პროკურორმა აბელ გეგიამ ტანსაცმელზე შეფერქვეული ოქროს მტვერიც კი ჩაბერტყა ოქროს ფხვნილი საცხე ტომარაში... მართლმსაჯულების უსაშველოდ გრძელ გზაზე ამ 90 წლის მოხუცს, ახლა ჩემ წინ რომ ზის და გარდასულ ამბებს მიყვება, ჩემდა უნებურად ჰქმინდებიან სახელგანთქნილი მოხუცს ვადარებ, მეთევზეობაში მიმცხოვნიულს, ზღვასა და დიდ თევზს ერთდროულად შეჭიდებულს. სანტიანტისაგან ამანაც მთელი სიცოცხლე ცხოვრების ზღვაში გაატარა და, საბოლოოდ დამარცხებული კუბელი ბერიკაცისგან განსხვავებით, ბოლოს მაინც ხელთ იგდო ის დიდი თევზი, კაცობის გვირგვინი, კაცობის შეუბღალავი სახელი რომ ჰქვია.

აი, საეჭვო ცდუნებათა უთვალავ-ტალღადავლილი ჩემი 90 წლის მეგობარი ახლაც თითქმის იმავე შემართებით ებრძვის სიბერეს, რა შემართებით გამოიარა გრძელი მეოცე საუკუნე და მესამე ათასწლეულის ამ პირველ საუკუნეშიც თავის კვალს ტოვებს, იმ სიკეთეს იმკის, რაც ამქვეყნად უზვად უთესია... დიდმა ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ ახლა სამწერლო კალამი ააღებინა ხელში და იგი ახლა უკვე რამდენ-

ნიმე გახმაურებული წიგნის ავტორია. დღევანდელმა ცხოვრებამ მრავალ ღირსეულ მეოცნსაუკუნელს შეახვედრა და დაამეგობრა. იგი სიამაყითა და სიყვარულით წარმოთქვამს გალაკტონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, კონსტანტინე გამსახურდიას, შალვა ნუცუბიძის, ირაკლი აბაშიძის, გრიგოლ აბაშიძის, გიორგი ახვლედიანის, ტერენტი გრანელის, ვასილ მჭავანაძის სახელებს. ამ ძვირფას ჩანაწერებში ბევრ ისეთ დეტალს გადააწყდებით, რაც მხოლოდ აბელმა შემოუნახა შთამომავლობას.

ჩვენს ახალგაზრდებს, ვისაც ცხოვრებაში მართლმსაჯულების უანგარო სამსახური გადაუნყვეტია, ყველას ვურჩევ, გულდასმით ჩაიხედონ აბელ გეგიას სხვა ნაწარმოებში, თვალნათლივ ნახონ, გაიგონ, რა შესძლება თავისი საქმით უზომოდ გატაცებულ ადამიანს, რა შესძლება უზადო პროფესიონალიზმს.

* * *

— ბატონო აბელ, მაინც რაში ხედავთ თქვენი შედარებით ჯანმრთელი დღევანდელი საიადუმობა? — ვეკითხები წლებისგან ვერ დაჭმუჭნილ ჩემს ქარმაგ მასპინძელს.

— უწინარესად შენი საყვარელი საქმის მუდმივ დაუზარელ ქმნაში და, რაც მთავარია, კიდევ იმაში, რომ ისეთივე საჭირო ხარ შენი თანამედროვე საზოგადოებისთვის, როგორც შენი ოჯახისთვის. თუ ხედავ, რომ შენი განვლილი წლები დაფასებულია და ახლაც უკვე მოხუცებულს, პატივისცემით გეპყრობიან, სიბერის მომრევი ამაზე უფარი ნამალი არ არსებობს. ოჯახის წევრებზე ძალიან ბევრია დამოკიდებული.

ოჯახის წევრების სხენებზე აბელმა მზერა თავის თვალმწყაზარ მუდმივს მიაპყრო, ღია სიხარულიძეს და ჩვეული იუმორით მიუღიქვს:

შენ ხარ ჩემი ვენერა და ჩემი ბრიჯივ ბარდო... შენი სხივი არ მომაკლდებს, მხოლოდ ამას ვნატრობ. გამიღიმებ? — გაიღება ჩემთვის ცისკარი. „შუბლს შეიკრავ — ჩამიწყდება გულში სიმი ქნარის. მზე და მთვარე ჩემთვის რაა, შენ რომ არა გნახო? ნატერფლავს დაგაკონცნი და ამითაც ვნატრობ...“

ღია სიხარულიძესთან აბელს თავისი სენია ვაჟკაცი ჰყავს. ისიც იურისტი, როგორც იტყვიან, მამის წყალგადანსხმული იურისტი და მამის ფხაკამოყოლილი, რომელსაც უკვე კარგად იცნობენ იურიდიულ წრეებში.

* * *

აბელი იუსტიციის უფროსი მრჩეველი, პოლკოვნიკი, მეცნიერების დოქტორია. ყოველივე სიბაბის მხარდამჭერმა და პატივისმცემელმა, ეგრეთ წოდებული ვარდების რევოლუციის შემდეგ, მან ერთ-ერთმა პირველმა შექმნა „ვარდების მოტიანილი მართლმსაჯულება“, რამეთუ მალევე დარწმუნდა, რომ სახელმწიფო არამზადებდა ჩაიგდეს ხელში, სათავისოდ დაუწყეს თლა და გრევე სახალხოდ გამოუტანა განაჩენი: „ანუკარად არ გამართლა ვარდებით მოტიანილი მართლმსაჯულებამ. მან ყველაფერი თავდაყირა დააყენა, ვარდებიც დააჭკნო და სამართალიც წელში გადატეხა.“

საზოგადოებას არ სურს ასეთი კანონების უზენესობა, ხალხს სამართლის უზენესობა ენატრება! 2007 წელს გამოქვეყნებულ ამ წიგნს მე მაშინვე გამოვეხმაურე „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებზე. სათაურად ილიას სიტყვები დავადგი — **„მართლგამივსხავი სასწრო“,** და ჩემი უდიდესი შეფასებაც მივაყოლე: **„კაცია, სახელად აბელი, რომელიც მთელი ცხოვრება კანებს ებრძოდა.“** ბარემ აქვე იმასაც ვიტყვი, რომ კანები, ვინც აბელს მთელი ცხოვრება ებრძოდა, შურიტა და ბოლმით სავსენი, არ გადაშენებულან. არიან შინაურებიც, და ბედის ირონიით ზოგიერთი ეს შინაური კანეი დღესაც თავს კარგად გრძობს... ისე და ისე აბელის დიდი ქართული კეთილშობილების წყალობით...

მერე რა ვუყოთ, თუ ათასი ბოროტი ადამიანი და კიდევ უფრო მეტი კანეი ელობებოდა გზაზე, რათა როგორმე შეებლალათ მართლმოყვარე მსაჯულის სახელი, მაგრამ ცხოვრების აბოპოქრებულ ზღვას შეჭიდებულ ბერიკაცს ის უფრო ბევრად ახარებს, რომ ასჯერ და ათასჯერ მეტია პროკურორ აბელ გეგიას ფოსტა იმ კეთილი და მაღლიერი ადამიანების გულთბილი წერილებით, ვისაც აბელმა აპოვინა სიმართლე და სამოქალაქო სიკვიდის გადაარჩინა ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

* * *

ნიბნიაში მკითხველი, ცხადია, უმალ მიხვდა, რომ ასწლეულს შერკონებული ჩემი ძველი მეგობრისადმი მიძღვნილ ამ ჩემს მცირედ ნაფიქრალს ცნობილი ამერიკული მოთხრობის „მოხუცისა და ზღვის“ ანალოგიით დავარქვი „მოხუცი და სხვა“. სანტიაგო მეტეზე იყო და ყოველდღე ყველაზე დიდი თევზის დასაჭერად გადიოდა ზღვაში. აკი დაიჭირა კიდევ, მაგრამ ბოლოს ხელთ ზვიგენის ხორცაცადილი ხერხემალია შერჩა...

ჩემი ძველი, 90 წლის მეგობარი, „სამართლის კაცი“ აბელ გეგია ბევრი რამით მაგონებს ზღვაში ზვიგენებთან მებრძოლ შემინგუების სანტიაგოს, ის პატარა ბიჭიც, რომელიც მუდამ თან დაჰყვება ზღვაში ამ ბებერ მეთევზეს, ჩემს თვალში ის პატარა რომანტიკული ბიჭია, რომელიც მუდამ თან ახლდა აბელს ცხოვრების გრძელ გზაზე... და როგორც ის პატარა მეთევზე ბიჭი სანტიაგოსგან, ისე ეს პატარა რომანტიკული ბიჭი აბელისგან მთელი ცხოვრება სწავლობდა მტაცებელ ზვიგენებთან ბრძოლას...


რასაკვირველია, ის მოხუციც სხვაა, ის ზღვა და ის პატარა ბიჭიც. მაგრამ ამასთანავე ის ცხოვრებისგან დაღლილი მოხუცი მეთევზე აბელის ორეულიც იყო და არის, ის ზღვა და ბელის ცხოვრების ორეული მგონია და სანტიაგოს ის პატარა ბიჭიც რომანტიკული პატარა ბიჭის აშკარა ორეულია... და როგორც მოხუცი სანტიაგოს, დიდ ზვიგენებთან ნაბრძოლს, მოხუცი პროკურორ აბელსაც, ორფხვა ზვიგენებთან ნაობარს, ამ ბოლო დროს რატომღაც ლომები ესიზმრებათ... და ის პატარა, რომანტიკული გამოყოლილი ბიჭი, სანტიაგოს ბიჭისა არ იყოს, გვერდიდან არ შორდება არასოდეს.

ბურაბ ბოგიაშვილი, 3030 ქოლკოვნიკის ფოტო.

© **მორაობრაზია**

ფილმის მუშაობა

„ჯანსულო“ — ჯანო (ირაკლი) ბაგრატიონის დადგომი ფილმი — „მასი სვიტია“



მხატვრული ფილმი „მაცია სვიტია“ 1966 წელს გადაიღო ცნობილი რეჟისორმა გიორგი შენგელაიამ. ფილმს დიდი წარმატება ხვდა წილად, რაც განაპირობა მისმა მაღალმა მხატვრულმა დონემ და ეროვნულ კინემატოგრაფია-ფილმოგრაფიაშიც ღირსეული ადგილი დაუმკვიდრა.

ფილმი გაჯერებულია ქართული ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის საუკეთესო ნიმუშებით — ცეკვა, სიმღერა, ჯირითი... მართლაც საოცრებაა, როგორც კინომცოდნე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი მანანა ლეკბორაშვილი წერს: „დოუ-ნანას“ რიტმზე აწყობილი დინამიკური სათავგადასავლო ფილმი „მაცია სვიტია“.

ფილმის წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანა ბრწყინვალე ქორეოგრაფმა და მომღერალმა, საქართველოს სახალხო არტისტმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ირაკლი (ჯანო) ბაგრატიონმა, რომელმაც ამ ფილმისთვის სპეციალურად შექმნა ცეკვა „ჯანსულო“. აღფრთოვანებას იწვევს მეგრულ თემაზე შექმნილი სანახაობა, რომელიც მამულში მოხდა ქოვებს წარუშლელ შთაბეჭდილებას.

როგორ გაიხსენებდით ფილმში „მაცია სვიტია“ დიდი ხელოვანის, ჯანო ბაგრატიონის მიერ ცეკვის ესოდენ შთაბეჭქდად დადგმას? ამ კითხვით მიმართა საქართველოს დამსახურებულმა ურნალისტმა თენგიზ გაჩეჩილაძემ ფილმის რეჟისორს გიორგი შენგელაიას და ხსენებულ ფილმში ცეკვის შემსრულებელ მსახიობებს გიორგი ქავთარაძეს და მანანა აბაზაძეს. აი, მათი პასუხებიც.

გიორგი შენგელაია: (რუსთაველის პრემიის ლაურეატი, საქართველოს სახალხო არტისტი):

— მხატვრული ფილმი „მაცია სვიტია“

ას“ სცენარის მიხედვით ბატონ ჯანოს შევთავაზე ცეკვის დადგმა. მაშინ ის იყო სახელოვანი ქორეოგრაფი, საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. ფილმში გოგი ქავთარაძე და მანანა აბაზაძე ცეკვავენ. ბრწყინვალედ გამოვიდა ყველაფერი. კმაყოფილი დავრჩი.

გიორგი (გოგი) ქავთარაძე (საქართველოს სახალხო არტისტი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე):

— მხატვრულ ფილმ „მაცია სვიტიაში“ მე კოჭიას როლს ვთამაშობდი. ფილმის მუშაობაზე იქცა ცეკვა „ჯანსულო“, რომელიც ბატონმა ჯანო ბაგრატიონმა დიდებულიად დადგა სპეციალურად ამ ფილმისთვის. ფილმში ცეკვას მე მანანა აბაზაძესთან ერთად ვასრულებ.

მანანა აბაზაძე (საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე):

— ნახევარი საუკუნე გავიდა მას შემდეგ, მაგრამ ახლაც თვალნი მიდგას შესანიშნავ ხელოვანთან და პიროვნებასთან, ბატონ ჯანო ბაგრატიონთან მუშაობა ცეკვა „ჯანსულოს“ დადგმისას კინოფილმ „მაცია სვიტიაში“. მაშინ მე უკვე პროფესიონალი — საქართველოს სახალხო ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის მსახიობ-მოცეკვავე ვიყავი. დიდი ბედნიერება იყო მე და გოგი ქავთარაძემ რეჟისორისა და ცეკვის დამდგმელის ჩანაფიქრის ხორცშესხმა მათ მოსაწონად რომ შეეძლებოდა. ძალიან მიყვარს ეს ფილმი.



ქალრი ფილმიდან „მასი სვიტია“

ბიუჯეტი გასაჭარბებით სრულდება

ინფორმაციის მონაცემებით აჭარის ნაერთი ბიუჯეტი 20%-იანი, ხოლო რესპუბლიკური ბიუჯეტი 23%-იანი გადაჭარბებით შესრულდა.

აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით აჭარის ნაერთი ბიუჯეტის (7თვე) გეგმა 137 მლნ 728,9 ათასი ლარი იყო, შესრულებამ კი 164 მლნ 955,5 ათასი ლარი შეადგინა, ანუ გეგმა 19,8%-ით გადაჭარბდა.

რაც შეეხება აჭარის რესპუბლიკური ბიუჯეტის 7 თვის პარამეტრებს, გეგმა 84 მლნ 500,4 ათასი ლარი იყო, თუმცა, შესრულებამ 20 მლნ ლარით მეტი, ანუ 104 მლნ 24,2ათასი ლარი შეადგინა, რაც იმას ნიშნავს, რომ გეგმა 23,1%-ითაა გადაჭარბებული.


ღივილავს მარნეულში უჩვეულოდ ჩასახლება

ღივილავს და განსახლების სამინისტროს მიერ მენაშენების პროექტის ფარგლებში მარნეულში შესყიდულ ახალმშენებულ კორპუსში საცხოვრებელი ფართის მიღების მოთხოვნით განაცხადების მიღება იწყება.

მარნეულში, რუსთაველის ქუჩაზე სამინისტრომ 50 ბინა შეიძინა. საცხოვრებელი ფართები დღეიდან გრძელვადიანი განსახლების კრიტერიუმების შესაბამისად განიწილება.

განაცხადები მიიღება 8 აგვისტოდან 12 აგვისტოს ჩათვლით თბილისში, ვაჟა-ფშაველას ქ. №16-ში.

ახალმშენებულ კორპუსში საცხოვრებელი ფართის მიღების მოთხოვნით განაცხადის შევსება მხოლოდ მარნეულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ დევნილ ოჯახებს შეუძლიათ.



აბელ გეგია სოლ-შვილთან ერთად



ყოველკვირული ლიტერატურულ-კულტურული ჩანაწერი №254

სამშობლო და მშარალი

მწერლის შემოქმედებაში, რა თქმა უნდა, მონაწილეობს სამშობლო, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც ენა და სამშობლო ერთმანეთს ემთხვევა. ვთქვათ, ესპანურენოვანი ხალხისთვის განსხვავებულია სამშობლო და ენა, ჩვენთან კი ერთი და იგივეა და რა კალამიც არ უნდა მოიქნით, სამშობლო უეჭველად იქვეა.

როდესაც თემად „სამშობლო“ პოეზიაში, ვერ ვიტყვი, რომ განსაკუთრებით ახლოა ჩემთან... სამშობლოს პათეტიკური ქება-დიდება პოეზიის გარეთ მიმდინიან. მხოლოდ მცირე ნაწილია ამგვარი ლექსები, რომელიც ამჟამად პოეზიას შეიცავს. ეს რომ პოეზიის ძირითადი თემა იყოს – სამშობლოს პირდაპირი ქება-დიდება და ა. შ. ხალხურშიც იქნებოდა, გურამიშვილთანაც იქნებოდა... ტკივილი ყველგან არის, მაგრამ ის, რასაც პატრიოტულ მოტივებს ვეძახით, სხვა... რა ვიცი...

თვითონ სამშობლო მწერლობაში პირველადია! უსამშობლო მწერალი მაშინვე იგონდება. რაღაცა აკლია. მიფიქრია, ზოგჯერ: სამშობლო არ ჰქონდა ამ უბედურს? არადა, თან კარგი მწერალია, დაეუშვათ ვიღაც უცხოელი... ეს ყოველთვის ჩანს ხოლმე. სამშობლო ქართულ მწერლობაში საძებნელი არ არის. ის ყოველთვის თანამონაწილეობს შემოქმედებაში. კარგია, ცუდია... მაინც მონაწილეობს. თუმცა, აღფრთოვანებით საუბარი, რომ სამშობლო არის ან უნდა იყოს ასეთი თუ ისეთი, ჩემთვის გაუგებარია...

ერთხელ ბოდლერის წიგნს ვათვალიერებდი, ლექსებს. ასეთი ფრაზა შემხვდა: – „შენ ჩამოხვალ“ – ვილაცას მიმართავს, – „საფრანგეთში, დიდების ქვეყანაში“... დიდება!.. ცოტა უხერხულად ვიგონებდი თავი, რომ ბოდლერმა დაწერა ეს სტრიქონები, ეს მკვებარა სტრიქონები... შესაძლოა, საფრანგეთს შეჰფერის ამგვარი ყველაფერი, მაგრამ მაინც...

თორემ სამშობლო რა არის, ამას ვერ განმარტავ. ეს განცდაა და გრძობაა. რაღაც ჰაერით არის. სამშობლოს განმარტება ცვადაც ერთხელ, რაღაც წერილში დამჭირდა და არ ინმარტება. არ გამოვიდა. ესე იგი ისეთი კომპონენტებისგან შედგება, რომ მხოლოდ ტერიტორია არ არის, მხოლოდ ენა არ არის... ვთქვათ, ინგლისურენოვანი ქვეყნები გვიჩვენებს, რომ ენა არ არის სამშობლოს განმარტებელი. რაც არ ვიპოვე, მოვისინჯე, ყველა საეჭვო გამოდგა. არადა, სამშობლოს განცდა ნამდვილია და არაფერი ამაში საეჭვო არ არის. შენი სამშობლოს და შენი ერის გარეთ მაინც არა ხარ ის შემოქმედი, როგორც შეიძლება სამშობლოში იყო. ლიტერატურას ვგულისხმობ და არა მხოლოდ ლიტერატურას. რა თქმა უნდა, მხატვრია თუ კომპოზიტორი, მშობლიურზე თუ არ დგას, განწირული მგონია მისი საქმე.

ყოველთვის, რომელიმე ერის ნამდვილ ლიტერატურას თუ გადავხედავთ, იქ გამოიკვეთება, ისეთი ნაწილი, რომელიც ვთქვათ, ნორვეგიულია, ან სუფ-

თად რუსულია. ის უფრო გაინტერესებს და არა ზოგადი, ანუ ის, რაც ყველგან არის.

სამშობლო განცდა უპირველესად, რაღაცნაირი შინაგანი განცდაა. თავს როგორ აცნობიერებ და ვისგან შედგები ბოლოს და ბოლოს... და სამშობლოსგან თუ არ შედგები, ვთქვათ, ლიტერატურაში ზედმეტია შენი შესვლა. შეიძლება რაღაც კარგიც გააკეთო, მაგრამ მნიშვნელოვანს ვერაფერს გააკეთებ, იმდენად არის სამშობლო ძი-

საც საბჭოთას ეძახდნენ. მართალია, საბჭოთა ტენდენციური იყო, მაგრამ ანტისაბჭოთა უფრო ტენდენციური გამოდგა, როგორც ახლა დავინახეთ. არადა, მაშინ გვეგონა, რომ ძალიან მოქმედი იყო და ნამდვილი... ნუთუ, იქამდე უნდა ჩამოვიდეს ლიტერატურა – საბჭოთა, ანტისაბჭოთა...

ვთქვათ, ავიღოთ ტოლსტოის „ომი და მშვიდობა“, სადაც დახატულია კუტუზოვი, რომელიც გრანდიოზული ფიგურაა, ციკლოპია, ცალთვალაა, რაღაც

თავის ადამიანურ განზომილებას ვარგავს. უინტერესო ხდება რაღაცნაირად. არ ვიცი, როგორ. ბოლოს და ბოლოს, იდეალი ყველა ერთია და ერთმანეთისგან ნაკლები განსხვავდებით. მე ჩემი წილი ნაკლები მაქვს და თქვენ თქვენი. ეს განსხვავებებს ერთმანეთისგანაც და იდეალისგანაც.

ინდივიდუალურ ხასიათს იდეალიზაცია, ალბათ, რაღაცას აკლავს. თუმცა, არის ნაწარმოებებიც, სადაც ეს საჭიროა და გამართლებულია. იდეალს ესწრაფ-



ლიტერატურული და ცხოვრებისეული სინამდვილე



ლაშით წარმდინანი, ემზარ კვიტიანი, ბარანა ბრამბაძე.

რითადი ამ საქმიანობაში. აუცილებელია რაღაც მშობლიური, რაღაც სისხლისმიერი... არ ვიცი, რა შეიძლება ამას დავარქვა...

სინამდვილე და ლიტერატურა

სინამდვილე და მისი ასახვა ლიტერატურაში რამდენად ემთხვევა ერთმანეთს? რა თქმა უნდა, განსხვავება უეჭველია, მაგრამ ზოგჯერ აღემატება რეალური ფაქტი, სრულიად რეალური, რაც ნამდვილად მოხდა და გამოიყენა რომანისტმა, მაგრამ რომანში სრულიად დაუჯერებლად, გამოგონილად ჩანს. ანდა ასეც ხდება – გამოგონილია და გვეგონება ზუსტად ცხოვრებისეულია.

დისიდენტურ ლიტერატურას რაც შეეხება: სინამდვილე მხოლოდ ზედაპირულ სახეს იღებდა და ძალიან ტენდენციური იყო. შეიძლება იქიდანაც გადარჩა რაღაც ნამდვილი... საბჭოთა ლიტერატურის ცუდი ნაწილი, რაც ჩავიდა, ანტისაბჭოთაც იმას ვაპყვავ. ვფიქრობ, იქიდან უფრო მეტი გადარჩა, რა-

ყველაფრის საოცარი მჭვრეტელი და რუსეთის სიღიადის გამოხატულება.

ისტორიული კუტუზოვი კი იყო ერთი ცბიერი მედროვე. ამბოლურად არაფერი არც ვიცი, რამდენად ნიჭიერი იყო. ჩვენს წარმოდგენაში დარჩა ტოლსტოის კუტუზოვი. აქ მწერალმა აჯობა რეალობას თუ... არა, ალბათ არ აჯობა, მაგრამ გააჩნია... ჩემთვის, შესაძლოა, კუტუზოვმა აჯობა რეალობას, მაგრამ არსებობს ვიღაც ისტორიკოსი, რომელმაც ზუსტად იცის რეალური კუტუზოვის პიროვნება და მისთვის ტოლსტოის გმირი შეიძლება ცოტა გასაღიძმარიც აღმოჩნდეს... ანუ გააჩნია, ვისთვის როგორ...

საერთოდ, იდეალიზაცია საეჭვო საქმეა მწერლობაში. ხანდახან მივაწერთ, რომ იდეალიზებულია, მაგრამ ავტორს არ ჰყავს იდეალიზებული. ასეც ხდება... ზოგჯერ თუ ძალიან იდეალიზებულია,

ვიან „ვეფხისტყაოსნის“ გმირები, იდეალიზირებას ცდილობენ სწორედ ძველი ეპიკოსები... თუმცა, მთლიანად რეალობას ვერ გაეცევი, რა უნარის მწერალიც უნდა იყოს და რა მიმართულიც მისაც.

„ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტისთვის

„ესე ამბავი სპარსული... ვპოვე და ლექსად გარდავთქვი“...

გასაკვირი თითქოს არაფერია, პოეტი პოემისთვის მზა ქარგას იყენებს და არც მალავს მის წარმომავლობას. გასაკვირი არაფერია, მით უფრო, დამაეჭვებელი და საორჭოფო. დიდი კლასიკა უმეტესწილად მზა ქარგებზეა შექმნა. მამ, საიდანღა ჩნდება სიტყვა „საჭოჭმანები“, რომელიც ასეთ საკვანძო ადგილას შემთხვევით არამც და არამც არ დაისმებოდა. იგი რაღაცას მიგვანიშნებს და არ გვიხსნის. მაგრამ რას?

საჭოჭმანოდ ქარგის აღება მიჩნეული. სხვა წაკითხვა არ ჩანს, მაგრამ ქარგა არსაიდან რომ არ აუღია? სიუჟეტის უცხო წარმომავლობა, მიუხედავად ზოგიერთი მეცნიერის თავგამოდებისა, არ დამტკიცდა. მას შორეული ანალოგიც არ დაეძებნა და არც შეიძლებოდა, დას-



ლაშით წარმდინანი და მავალა ალადაშვილი

დებნოდა. „ვეფხისტყაოსნის“ ორივე პარალელური სიუჟეტის ამოსავალი წერტილი ერთი და იგივეა – „სხვა ძე არ ესვა მეფესა, მართ ოდენ მართოდ ასული“. ორივე შემთხვევაში ეს არის გიორგი მესამის კარი. მეფის უძეობა მტკივნეულ პოლიტიკურ და ეროვნულ პრობლემად იქცა და რუსთაველს იძულებდა მნიშვნელოვნად ესახება ეს პრობლემა, რომ ორივე სიუჟეტის საძირკვლად უძეობის ამბავს სდებდა და მთელ შენობას მასზე აშენებდა.

და მაინც – „ესე ამბავის სპარსული“... რისთვისდა დასჭირდა მკითხველის ყალბ გზაზე დაყენება? როგორც გვარწმუნებენ, ამბის გაუცხოებისათვის: სიუჟეტის სპარსულობა ნაწარმოებს მეტ პრესტიჟს შესძენდა. არადა, მოქმედება ისედაც უცხო გარემოში, ნახევრად ზღაპრულ „არამეთსა“ და „ინდოეთში“ ხდება. კიდევ რაღა გაუცხოება საჭირო?

მაშ, რითი უნდა აიხსნას სიუჟეტის სპარსულად გამოცხადების მიზეზი თუ მიზეზი, ან რატომ მიაჩნია პოეტს ეს საქმე საჭკობანოდ?..

მაგრამ სანამ ამ კითხვას პასუხი გაცემოდეს, ჯერ ისევ მეფის უძეობას დავერბუნდეთ.

დიდი დინასტია, რომელმაც საქართველოს გაერთიანებისა და პირველხარისხოვან სახელმწიფოდ ქვეყნის ურთულესი მისია აღასრულა, დინასტიამ, რომლის ბედი თუ უბედობა უკვე მთელი სახელმწიფოს ბედთან თუ უბედობასთან იყო გათანაბრებული, სამუდამოდ წყვეტდა არსებობას. გიორგი მესამე ცოდვიანი მეფე იყო, მისი უარსი ცოდვა ძმისა და ძმისწულის მიმართ ცას შეჰღალადებდა. ამიტომ დიდი იყო შიშიც, რომ ეს უძეობა ღვთისგან მოვლენილი სასჯელია არა მხოლოდ მეფეზე, არამედ მთელ საქართველოზე, კატასტროფის წინა დღე, ზეგარდმო, ავბედითი მინიშნება.

წინ ორი გზა იდო – იმედისა და შიშისა. აქედან ორი სიუჟეტური ხაზი: პირველი – იმედი – „არაბთა“ სამეფო კარი და მეორე – „ინდოთა“ სამეფო კარი – შიში.

„არაბთა“ უძეობის განსაცდელი იოლად დასძლია. იქ ყოველგვარი სიმართლე დაცულია, ღვთაებრივიცა და ადამიანურიც. ყველა დამოკიდებულება გამთბარია ნდობით, სიყვარულით, ერთგულებით. ურთიერთობებში სიყალბისა და სიცრუის ნატამალიც არსად არის. შესაბამისად, სიმშვიდე და შარმონია სუფევს. „ინდოეთის“ კარი ჩახურულია და ჩახუთულია, ურთიერთობები გაუხსნეული, დაძაბული, უნდა. სიცრუე თანდათან ღრმად იჭრება და თავის ავბედით ბემის მართავს. ტრიალდება მძიმე ცოდვა – უღანაშულო ხვარაზმელი უფლისწულის მკვლელობა. მასში ყველას ურევია ხელი, ტარიელს, ნესტანს, ფარსადანს. განგება კი დანაშაულის სასჯელის გარეშე არ ტოვებს: ისჯებიან მონაწილენი, ისჯება მთელი სამეფო, – ფარსადანის გარდაცვალება, ქვეყნის დაქცევა და გაპარტახება, ნესტანის ტყვეობა, ტარიელის გატყუება... ტანჯვა, სასოწარკვეთა... ყოველივე ეს საზღაურია. ვინც ფიქრობს, რომ პოეტი არ მიიჩნევს ამ მკვლელობას დანაშაულად, არ უკვირდება მიმალულ ქვეტექსტებს.

რასაკვირველია, არასდროს ეჭვს არ იწვევდა, რომ აქ თამარის პირველი ქმრის, იური ბოგოლიუბსკის, გიორგი რუსის ამბავია სულ ოდნავ სახეცვლილად გადმოკეთებული. შთაბეჭდილება რჩება, რომ რუსთაველი ქართულ სამეფო კარს მაგ საქმეში არ ამართლებს. თუმცა, კიდევაც რომ ამართლებდეს, სამეფო კარისთვის ასეთი მინიშნება ყველა შემთხვევაში საჩოთირო იქნებოდა და მას დასტურს ვერ დასცემდა. აგრეთვე ვერც ნესტანის სახეს დასცემდა დასტურს, თუ მას თამარის ორიველად მიიჩნევდა.

თინათინი, რომ თამარის ორიველია, დიდი მტკიცება არ სჭირდება. მაგის სა-

ბუთად მამის მიერ თინათინის გამეფება კმარა. თინათინი ყველგან, გარეგნული თუ შინაგანი ნიშნით, სრულად წარმოგვიჩენს თამარის სახის ოფიციალურ ვერსიას. ნესტანი კი თამარის სახის არაოფიციალური ვერსიაა, თამარის, ახლო რაკურსით დანახული. ნესტანი ვეფხვია, ტარიელს ნესტანი მუდამ ვეფხვს აგონებს. მისი დაკარგვის შემდეგ კი ვეფხვი აგონებს ნესტანს. „ქვეწვა, ვით კლდისა ნაპარლას, ვეფხვი პირგამეხეზული“ – „ვეფხი შევიპყარ ხელითა, მის გამო კოცნა მომიხდა, ვინ მწვავს ცეცხლითა ცხელითა“. აქ ვეფხვის სიმბოლოვა გამოხატავს არა მხოლოდ აგრესიულ სილამაზეს, არამედ შინაგან ბუნებას. ნუ დაგვაჩინებია, რომ ვეფხვი, პირველ რიგში, მძვინვარების, დაუნდობლობის სიმბოლოა. ნესტანი მშვენიერია, ნესტანი სიკვითით სავსეა, მაგრამ ნესტანი საშიშია. ტარიელი პოემის ყველა ეპიზოდში ცოტათი უფროხის ნესტანს.

რუსთაველს ოთხივე ქალი, დავარს ნუ მიგათვლით, უბადოდ ყავს დახატული, მაგრამ სიყვარულით მხოლოდ ნესტანი უყვარს. პოემის მთავარ გმირად, ეს სათაურიდანაც ჩანს, ტარიელი მიაჩნია, არადა, ავთანდილის გვერდით ყოფნა უფრო ეადვილება, მასთან ერთად მღერის, მასთან ერთად ლოცულობს, მასთან ერთად წერს ანდერძის წიგნს, ანუ მასთან ერთად ქმნის სიუჟეტისთვის „უსარგებ-



ანზორ ერაქიანიშვილი, ვახტანგ რომელიძე, ლავით წერელიანი.

ყოველივე ზემოთქმულიდან ერთი რამ სრულად ნათელია: ფარსადანს ტარიელი სიძედ არ უნდოდა. ხვარაზმელი უფლისწულიც სწორედ მაგ მიზეზით ჩანს მოჩვენული – მოციქულებს ვაჟთან – თანაც ასე სასწრაფოდ, თავად ქალის მამა გზავნის; საიდუმლო მიჯნურობა უნდა იქამდე აღიკვეთოს, სანამ საქვეყნოდ არ გაცხადებულა.



ვახტანგ ერაქიანი, მარიამ კევიციანი, ალისო კალანდარიანი, ლავით წერელიანი.

ლო“ ლირიკულ წიაღსვლებს, ალბათ, ყველაზე უკეთესს „ვეფხისტყაოსანში“ რაც წერია, მაგრამ თინათინი არა, ნესტანი უყვარს, ფატმანიც მოსწონს, ფატმანიც ძალიან მოსწონს, მისი ბუნების ქალია, გულანმაროს უმშვენიერეს პასაუებს ფატმანის ეზო დაატანა, მაგრამ სიყვარულით მხოლოდ ნესტანი უყვარს „უწყალო, ვითა ჯიქია“...

მაგრამ არის კიდევ ერთი შეფარული სიუჟეტური ხაზი, ყველაზე სახიფათო მინიშნებათა გორგალი.

სასიძო მოკლეულია, ფარსადანი მძვინვარებს. არადა, მის ტონს დავაკვირდეთ, რა რბილია: „თუ ჩემი ქალი გინდოდა, რატომ არ შემაგებინე, ხვარაზმის სისხლი უზრალოდ სახლად რად დამადებინე“. ტარიელისა მას უზომო შიში აქვს, „ქალაქი მქონდა მაგარი, მტერთაგან მოურევარი... კაცნი გავეზავენ, ვაცნობენ, ყოველგან ლაშქარსა ყველასა: აქა მომმართვეთ, ვინცაღა ჩემსა იქმოდეთ შეელასა“. ამბოხებისთვის კი სრული კანონიერი საფუძველი არსებობს. თუ რაში მდგომარეობს ეს საფუძველი, ახლავ ვიკუთხედებ.

ჯერ კი ის მინდა, აღვნიშნო, რომ ფარსადანმა ზუსტად იცის, ვისთვისაც მოხდა მკვლელობა. ქალ-ვაჟის საიდუმლო მიჯნურობის ამბავი, როგორც მოსალოდნელი იყო, ისეთი საიდუმლოც არ აღმოჩნდა, თავად მონაწილეებს რომ ეგონათ. „მას უყვარდა ქალი ჩემი, სისხლნი ველთა მოუღვრიან, რა ნახიან ერთმანეთი, არ-შეხედვა ვერ დათმიან“.

კული ჩრდილი აფენია, უბედური უფლისწულისა, ერთადერთი კანონიერი მემკვიდრისა, რომლის უფლებათა უზურპაციაც სწორედ გიორგი მესამემ, თამარის მამამ, ასევე საქვეყნოდ მოახდინა. ამას უკვე სახიფათო მინიშნებაც აღარ ჰქვია. სამეფო კარის თვალთუქით თუ შეხებდავთ, „თანამდებ არს სასჯელისა“...

ხოლო თუ ლეგენდად გამართალი ცნობა თამარისა და დემნას ურთიერთობის შესახებ იმ დროშივე გაჩნდა, აუცილებელი არ არის, რომ სიმართლე იყოს. თუ იმ დროშივე, როგორც იტყვიან, გაჭორიჭორდა, პარალელი კიდევ უფრო სრულია და მინიშნება კიდევ უფრო ბუსტი.

მონათხრობი მოკლედ რომ შევაჯამოთ, ჩვენი მთავარი სათქმელი აქ ერთი წინადადებით შეიძლება გამოიხატოს: „ინდოთა“ სამეფო კარი მხოლოდ და მხოლოდ იმ ცოდვა-მადლისაგან იქსოვება, რომელიც საქართველოს სამეფო კარზე ტრიალდება!

პოეტმა უეჭველად იცოდა, რაოდენ სახიფათო იყო მისეული სიმართლე და მან მიზანშეწონილად მიიჩნია, უკან დასახვიე გზა არ მოეჭრა – „ესე ამბავი სპარსული“. თუ ჩემი ვერსია სიმართლესთან ახლოა, ეს სტროფი ერთადერთ ადრესატს, სამეფო კარს მიემართება: „გვრძნობ, საჭკობანო საქმე იყო ამ ქარვის აღება, რადგან მასში მართლაც არის ზოგი რამ, რაც შეიძლება მინიშნებას ჰკავდეს, მაგრამ მე ისე მოვიხიზლე ამ მშვენიერი ქმნილებით, ამ ობოლი მარგალიტით, რომ მაინც გავყვევი ცდუნებას. ის, რაც ბრალდებულად შეიძლება შემომიტრიალდეს, სინამდვილეში სპარსული დედნიდან მოდის. ერთადერთი ბრალი რაც მიმიძღვის, ცდუნებას დავყვევი. ჩემი ხელმძღვანელი სწორად გამიგებს და ამას საქმეს ხელდასხამს“.

ჯერ კიდევ იყო იმედი, რომ თამარის ქება და პოემის მომხსენებელი ძალა გადაჩონიდა, სამეფო კარს საშუალება ეძლეოდა, შორსმჭვრეტელობა გამოეჩინა და თავი მოეტყუებინა, მაგრამ როგორც ჩანს, კარმა ეს არ ინება. სხვა მხრივ როგორღა უნდა აიხსნას ის გაბოგნებელი ფაქტი, რომ ერის უპირველესმა წიგნმა რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ზედაპირზე ვერ ამოაღწია? ამოაღწია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ყველა შიში ათკვესად გამართლდა და ყოველგვარმა მინიშნებამ პოლიტიკური სიმძაფრე დაკარგა. ერთადერთი ახსნაა, რომ პოეტი და მისი წიგნი შეიძლება ლეგენდად გვეუბნება, რომ პოეტი სამშობლოდან განიდევნა. წიგნი, რა თქმა უნდა, გადარჩა. ასეთ წიგნს ვერა ერთ ვერ დათმობდა, მაგრამ პოეტზე ლეგენდების მეტი არაფერი შემონახულია. სახელიც კი – შოთა – მხოლოდ ლეგენდამ შემოგვინახა.

ბ ა ნ ც ხ ა ღ ე ბ ა
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306⁶ მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი პოლიტიკა“ კრედიტორ ს/ს „ვიტობი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს კობა გიორგაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

- უძრავი ნივთის მესაკუთრე: კობა გიორგაძე (პ/ნ 60001035368), ქუთაისი, ზ. ანჯაფარიძის ქ. №42.
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: ქუთაისი, ზ. ანჯაფარიძის ქ. №42 (საკადასტრო კოდი: 03.04.29.131).
- უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი უფლებებით.
- უძრავი ნივთის საწყისი ფასი: 6608.70 ლარი;
- აუქციონის დაწყების თარიღი: 2016 წლის 6 აპრილი, 12:00 საათი.
- აუქციონის დასრულების თარიღი: 2016 წლის 19 აპრილი, 10:00 საათი.
- აუქციონის ჩატარების ფორმა: ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები: განაცხადის №71271HZP32919916;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 329199

- მოვალე: კობა გიორგაძე (პ/ნ 60001035368), ქუთაისი, ზ. ანჯაფარიძის ქ. №42.
- აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი: შპს „ემჯი პოლიტიკა“ (ს/კ 204572284), თბილისი, თბილისის ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31.
- აუქციონის პირობები:
 - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
 - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
 - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი - ს/ს „ვიტობი ბანკი ჯორჯია“.
 - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი პოლიტიკა“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თბილისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოემთბა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

- აუქციონის პირობები: გამომცხადებელი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP32919916; ლოტის ნომერი: 329199).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავი ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2016 წლის 18 აპრილს, 12:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

ბ ა ნ ც ხ ა ღ ე ბ ა
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306⁶ მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი პოლიტიკა“ კრედიტორ ს/ს „ვიტობი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს ალი ბალაქიშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

- უძრავი ნივთის მესაკუთრე: ალი ბალაქიშვილი (პ/ნ 28001039372), მის: მარნეულის რ-ნი, სოფელი ალგეთი;
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: მარნეულის რ-ნი, სოფელი ალგეთი (საკადასტრო კოდი: 83.03.04.319);
- უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი უფლებებით.
- უძრავი ნივთის საწყისი ფასი: 11944 ლარი;
- აუქციონის დაწყების დრო: 2016 წლის 19 აპრილი, 16:00 საათი;
- აუქციონის ჩატარების ადგილი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5;
- მოვალე: გაბა ბალაქიშვილი (პ/ნ 28001073197), მის: მარნეულის რ-ნი, სოფელი ალგეთი;
ალი ბალაქიშვილი (პ/ნ 28001039372), მის: მარნეულის რ-ნი, სოფელი ალგეთი;
რაგიმ აბელიძე (პ/ნ 28001026088), მის: მარნეულის რ-ნი, სოფელი ალგეთი;
მატანატ ბალაქიშვილი (პ/ნ 28001024482), მის: მარნეულის რ-ნი, სოფელი ალგეთი.

6. აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი: შპს „ემჯი პოლიტიკა“ (ს/კ 204572284), თბილისი, თბილისის ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31; ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5;

- აუქციონის პირობები:
 - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
 - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
 - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი - ს/ს „ვიტობი ბანკი ჯორჯია“.
 - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი პოლიტიკა“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თბილისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოემთბა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავი ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2016 წლის 19 აპრილს 16:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

ბ ა ნ ც ხ ა ღ ე ბ ა
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306⁶ მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი პოლიტიკა“ კრედიტორ ს/ს „ვიტობი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს ანზორ ავალიანის და ვაგა ავალიანის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

- უძრავი ნივთის მესაკუთრე: ანზორ ავალიანი (პ/ნ 12001035335), ქარელი, სოფელი სუქანანთუბანი;
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: ქარელი, სოფელი სუქანანთუბანი (საკადასტრო კოდი: 68.09.41.019);
- უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი უფლებებით.
- უძრავი ნივთის მესაკუთრე: ვაგა ავალიანი (პ/ნ 30001008950), ქარელი, სოფელი სუქანანთუბანი;
- უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: ქარელი, სოფელი სუქანანთუბანი (საკადასტრო კოდი: 68.09.41.120);
- უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი უფლებებით.
- უძრავი ნივთების საწყისი ფასი: 12293,35 ლარი;
- აუქციონის დაწყების დრო: 2016 წლის 19 აპრილი, 16:15 საათი;
- აუქციონის ჩატარების ადგილი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5;
- მოვალე: ანზორ ავალიანი (პ/ნ 12001035335), ქარელი, სოფელი სუქანანთუბანი.

7. აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი: შპს „ემჯი პოლიტიკა“ (ს/კ 204572284), თბილისი, თბილისის ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31; ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5;

- აუქციონის პირობები:
 - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
 - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
 - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი - ს/ს „ვიტობი ბანკი ჯორჯია“.
 - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი პოლიტიკა“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თბილისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოემთბა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავი ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2016 წლის 19 აპრილს, 16:15 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

„სტარტაპ საქართველო“ პროექტზე 726 ბანასხალია წარდგენილი

„დამზადებული საწარმოების (სტარტაპების) ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში 726 განაცხადია წარდგენილი, მათ შორის ინოვაციების ნაწილში 580 განაცხადი, ხოლო მაღალტექნოლოგიურ კომპონენტში - 146 პროექტი.
მაღალტექნოლოგიურ ბიზნესპროექტებს ორი კვირის განმავლობაში განიხილავენ „სილიკონ ველის“ ექსპერტები, რომლებიც საქართველოში 22 აგვისტოს ჩამოვლენ. საუკეთესო სტარტაპებს საშუალება მიეცემათ პირისპირ წარუდგინონ ექსპერტების წინაშე და გააცნონ თავიანთი მაღალტექნოლოგიური ბიზნესიდეა. აღნიშნულ კომპონენტში შემოსულია განაცხადები შემდეგი დარგებიდან: საინფორმაციო ტექნოლოგიები, მობილური აპლიკაციები, ხელოვნური ინტელექტი, განახლებადი ენერჯეტიკა, ბიოტექნოლოგიები, ელექტრონული სწავლება და სხვა.
ინოვაციების კომპონენტში მიღებული განაცხადების გადარჩევა უკვე დაწყებულია და აგვისტოს ბოლომდე დასრულდება. მიღებულია განაცხადები თითქმის ყველა სფეროდან, მათ შორის წარმოება, მომსახურება, ინფორმაციული ტექნოლოგიები, განათლება, ელექტრონული მოწყობილობები და სხვა. აღსანიშნავია, რომ განაცხადების საკმაოდ დიდი რაოდენობა რეგიონებიდან შემოვიდა.
„დამწყები საწარმოების (სტარტაპების) ხელშეწყობის პროგრამის“ მიზანია ხელი შეუწყოს დამწყებ მწარმოებლებს.



პროგრამის მონაწილეებს, რომლებსაც არ აქვთ საკმარისი ფინანსური სახსრები ბიზნესის დაწყების, ან განვითარებისათვის, ეძლევათ უნიკალური შანსი განხორციელონ სიახლეზე ორიენტირებული ბიზნესიდეები და დაიწყონ საკუთარი ბიზნესი. პროგრამის განხორციელების პირველ ეტაპზე სახელმწიფო II მილიონ ლარს გამოყოფს, რომლითაც ინოვაციური და მაღალტექნოლოგიური სტარტაპები დაფინანსდება. სამომავლოდ, უფრო მეტი სტარტაპის დაფინანსების მიზნით, პროგრამის ბიუჯეტი შესაძლოა, 35 მილიონ ლარამდე გაიზარდოს.
საპარტნიორო ფონდის მიერ სპეციალურად შექმნილი შვილობილი კომპანია „სტარტაპ საქართველო“ თითოეულ დაფინანსებულ ბენეფიციართან ერთად შექმნის ახალ კომპანიას (სტარტაპს), რომელშიც ფონდი კაპიტალის სახით შეიტანს 15 000 ლარიდან 100 000 ლარამდე. ამ მოდელით, პროგრამის ბენეფიციარს თანამონაწილეობის სახით, მხოლოდ პროექტის ჯამური ღირებულების მინიმუმ 10%-ის ოდენობის თანხის შეტანა მოუწევს, ხოლო მისი ბიზნესიდეა ავტომატურად შეფასდება, როგორც ერთობლივი კომპანიის კაპიტალში სულ მცირე 45%-იანი შენატანი. შესაბამისად, მხოლოდ 10%-ანი თანხობრივი თანამონაწილეობის პირობებში პროგრამის ბენეფიციარი ხდება 50%-იანი, ან მეტი წილის მფლობელი ახალ კომპანიაში. ამასთან, შემდგომში ბენეფიციარს მიეცემა შესაძლებლობა გამოისყიდოს ფონდის წილი ერთობლივ კომპანიაში შეღავათიანი პირობებით, ან მოიძიოს სხვა ინვესტორები.
უნიკალური ინოვაციური იდეის შემთხვევაში საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო დაფინანსებს მაღალტექნოლოგიური დარგის სტარტაპებს მაქსიმუმ 100 000 ლარის ოდენობით, ამასთან, ბენეფიციარს ალარ მიეზღოვება პროექტის თანადაფინანსება და მისი წილი კომპანიაში 95% იქნება.

ბორჯომი სტიქიამ დაანარჩუნა

ქლივირმა წვიმამ, სეტყვამ და ქარმა ბორჯომი მნიშვნელოვნად დაანარჩუნა. სტიქიის ზონაში მომუშავე საგანგებო შტაბის ინფორმაციით, ყველაზე რთული ვითარება ბორჯომის ცენტრალურ პარკშია, სადაც ინტენსიური სამუშაოები მიმდინარეობს.

სტიქიის შედეგად დაიტბორა საცხოვრებელი სახლები და კომერციული ობიექტები, მოიშალა ინფრასტრუქტურა, დაზიანდა გზის საფარი და ხეები. ბორჯომის 1000-მდე აბონენტს კვლავ არ მიეწოდება ელექტროენერგია. ძლიერი წვიმის და სეტყვის შე-



დეგად დაზიანდა ნალვერი-ბაკურიანის გზა. ჩაკეტილი იყო სადგურის გზა, რომელიც უკვე განმენდილია და მოძრაობა აღდგენილია. ადგილობრივების თქმით, სეტყვა 25-30 წუთის განმავლობაში გაგრძელდა.

ბორჯომისთვის მიყენებულ ზარალს სპეციალური კომისია ითვლის, პარალელურად, ქალაქში აღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობს. დაზიანებულ უბნებზე მოხილიზებულია საჭირო ტექნიკა და შესაბამისი სამსახურები. ქალაქის ნაწილი უკვე განმენდილია.

„ჯიპიაი პოლინგო“ ზარალს ანაზღაურებს

„დაზიანებული 30-ზე მეტი ავტომობილი და დატბორილი ასობით კვადრატული კომერციული ფართი – ზარალის ჯამური რაოდენობის შეფასება მიმდინარეობს“, – აცხადებენ კომპანიაში.

„ჯიპიაი პოლინგო“ ბორჯომის მუნიციპალიტეტში მომხდარი სტიქიის შეფასება დაიწყო. სადაზღვევო კომპანიის ზარალების ანაზღაურების განყოფილების თანამშრომლები სტიქიის ზონაში გვიან ღამიდან მუშაობენ. სტიქიის შედეგად, მნიშვნელოვანი ზიანი მიაღწია ბორჯომის ქარხანას – დაზიანდა სახურავი, დაზგები და მანქანა-დანადგარები. ზარალის შესახებ უკვე განაცხადა 30-ზე მეტმა კერძო ავტომფლობელმა, დატბორილია რამდენიმე კომერციული ფართი.

შესწავლის შემდეგ, „ჯიპიაი პოლინგო“, როგორც ავტომობილის, ისე სხვა ტიპის ქონებისთვის, მიყენებულ ზარალს კონტრაქტის პირობების მიხედვით ოპერატიულად აანაზღაურებს. 2015 წელს „ჯიპიაი პოლინგო“ 49 340 000 ლარი აანაზღაურა.

უპაღური შემთხვევა რუსთაველი


რუსთაველი, XIX მიკრორაიონში სამედიცინო უნივერსიტეტის მშენებლობის ტერიტორიაზე უბედური შემთხვევა გუშინ დაახლოებით 11 საათზე მოხდა. „ინფო რუსთაველი“ ინფორმაციით, ბეტონის სიმაღლეზე მიმწოდებელი მანქანა მაღალი ძაბვის სადენებს მიედო რის გამოც 2 ადამიანს ღენმა დაარტყა. ორივე მათგანმა დამწვრობა მიიღო და გადაყვანილები არიან საავადმყოფოში.

სადასალოო ნარკოტიკების დაპაპება

შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის საგანგებო-ოპერატიული მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად 1965 წელს დაბადებული საქართველოს მოქალაქე დავით დ. ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა-შენახვისა და საქართველოში ნარკოტიკული საშუალების უკანონო შემოტანის ბრალდებით სადასალოში დააკავეს.

სამართალდამცველებმა, დაკავებულის პირადი ჩხრეკისას, კოდეინის (მარილი) შემცველი 120 აბი ამოიღეს.

უსიტყვოდ



ამირან მარამის პარიკატურა

უახლოეს დღეებში სუდი ამინდია მოსალოდნელი

ბარამოს ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით უახლოეს დღეებში საქართველოში არამდგრადი ამინდია მოსალოდნელი.

6-8 აგვისტოს, აღმოსავლეთ საქართველოში არამდგრადი ამინდი შენარჩუნდება. მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა და ელქექი, ზოგან ძლიერი, შესაძლებელია სეტყვა.

უახლოეს დღეებში ელქექის დროს მოსალოდნელია ქარის შველური გაძლიერება. ჰაერის ტემპერატურა 32-37 გრადუსი იქნება.

დასავლეთ საქართველოს ცალკეულ რაიონებში იწვიმებს, ზოგან ელქექით. ჰაერის ტემპერატურა 29-34 გრადუსი იქნება.

სამგორში გზების მოსაფლტება დასრულდა

თბილისის მერმა დავით ნარმანიამ სამგორის რაიონის გამგებელთა გიორგი ბაგრატიონთან ერთად თბილისის შემოერთებულ სოფელ ნასაგურში დასრულებული საგზაო სამუშაოები დაათვალიერა და ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა.

სამგორის რაიონის გამგებობის მიერ სოფელ ნასაგურში განხორციელდა შიდა გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები. დასრულდა ნაძვის ქუჩის, გურამ რჩეულიშვილის, ივანე მაჩაბლის, სამგორის ქუჩის, სააკაძის, ხეივანის ქუჩის და ხეივანის ქუჩის I და II ჩიხების, ეკლესიის გზისა და ნაძვების ქუჩის რეაბილიტაცია.

ნასაგურის ტერიტორიაზე, ასევე, მოეწყო ახალი სკვერი და რეაბილიტაცია ჩაუტარდა სპორტულ მოედანს. საერთო ჯამში, დაიგო 16808 კვ. მეტრი ასფალტის საფარი, რომლის ღირებულებამაც 785 07217 ლარი შეადგინა.

ნასაგურის ტერიტორიაზე, ასევე, შეიღება გარე-განათების ბოძები, შეკეთდა სოფელ ნასაგურამდე მისასვლელი გზა და გააღებულა ხეები.



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS REPUBLIKA
 სულხან-საბას ძ. №3

მთავარი რედაქტორი
 სპარტაკ ძოგულია
 293-13-34
 599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გომიაშვილი
 599 53-76-16;
ალექო ასლანიშვილი
 599 56-81-86;
რუსლან რუსია
 599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
 514 33-33-24

გამომცემლობა:
 შპს „თანამდგომარეობა“-გაზეთ
 „საქართველოს რესპუბლიკის“
 გამომცემელი“
 ტ: 599 79-76-79
 შპს „ახალი საუკუნე“
 იბეჭდება გამომცემლობა
 „კოლორში“
 რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაქ)070.4(479.22)
 ს-323
 ISSN 2233-3851

9 772233 385001

ავტორთა საფურცელი!
 რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

ყოველი ნომრის შექენით
თქვენ აქლიარებთ 100 წლის „საქართველოს რესპუბლიკას“!
გმადლობთ!

	რუსთაველი პაპუტის ქარხა: აშუ ფონი - 2.345; პერო - 2.614; ბრიტანული პიკანა სტარლინი - 3.12; 100 რუბლი - 3.612; თურქული ლირა - 0.796; ავსტრალიული დენარი - 1.471; 1000 სოფური ღრამი - 4.92	ამინდი 6 აპრილისთვის აღმოსავლეთი საქართველო: ბარი - ღამე +17, დღე +36 შიდა რაიონები - ღამე +12, დღე +33 დასავლეთი საქართველო: ბარი - ღამე +21, დღე +36 შიდა რაიონები - ღამე +16, დღე +32 თბილისი: ღამე +21, დღე +35	დაგვიკავით, მოგვწერით: ტელ: 293-13-34, 599-79-76-79 WWW.SAKRESP.GE
--	--	---	--